მეექვსე გამოცემა
ოქტომბერი – მარტი

თბილისის სამედიცინო აკადემია
ელ.გაზეთი

ამ გამოცემაში

- განათლება და პარტნიორობები 2
- კვლევითი აქტივობები 6
- სოციალური პასუხისმგებლობა 7
- სტუდენტური ცხოვრება, კურსდამთავრებულები 9
- ბლოგები 11

თსა-ს წარმომადგენლები გერმანიაში

ახალგაზრდა მკვლევართა მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმს გლობალური ჯანმრთელობის შესახებ ბერლინმა უმასპინძლა. სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად, ბერლინის აკონის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ თსა-დან მიწვეულნი იყვნენ აკადემიის ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მაღლაკელიძე და თსა-ს სტუდენტი, სტუდენტური აკადემიის ოპერაციების მიმართულების ხელმძღვანელი ნინო გაგუა.

მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2024 (MEDIC 2024)

თსა-ს ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2024 (MEDIC 2024)". სამდღიანი კონფერენცია ჰიბრიდულ ფორმატში წარიმართა. ღონისძიებას მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების ევროპული აკრედიტაციის საბჭოს მიერ (EACCME®). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებაში არსებული გამოწვევების საპასუხო და ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი აქტივობების შედეგების პრეზენტაცია.

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვართ, გაგიზიართ თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) ელექტრონული გაზეთის ჩიგით მეექვსე გამოცემა.

ამ გამოცემაში გაეცნობით ინფორმაციას თსა–ში 2024 წლის ოქტომბრიდან 2025 წლის მარტის ჩათვლით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,
თსა–ს საზოგადებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური

განათლება და პარტნიორობები

მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2024 (MEDIC 2024)

26 – 28 ნოემბერს, თბილისის სამედიცინო აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მედიცინა: ინოვაციები და გამოწვევები 2024 (MEDIC 2024)". სამდღიანი კონფერენცია ჰიბრიდულ ფორმატში წარიმართა. ღონისძიებას მინიჭებული ჰქონდა აკრედიტაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების ევროპული აკრედიტაციის საბჭოს მიერ (EACCME®).

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებაში არსებული გამოწვევების საპასუხო და ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი აქტივობების შედეგების პრეზენტაცია. MEDIC 2024-ის ფარგლებში განიხილა ისეთი თემები, როგორიცაა პერსონალიზებული მედიცინა, მოლეკულური პათოლოგია და მედიცინა, ციფრული ჯანმრთელობა, ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება ჯანდაცვის სფეროში და ა.შ.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ წამყვანი ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები, მკვლევრები და ახალგაზრდა მეცნიერები.

თსა-ს წარმომადგენლები გერმანიაში

ახალგაზრდა მკვლევართა მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმს გლობალური ჯანმრთელობის შესახებ ბერლინმა უმასპინძლა. სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად, ბერლინის აკონის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ თსა-დან მიწვეულნი იყვნენ აკადემიის ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მაღლაკელიძე და თსა-ს სტუდენტი, სტუდენტური აკადემიის ოპერაციების მიმართულების ხელმძღვანელი ნინო გაგუა.

აკონის უნივერსიტეტში, ნინო გაგუამ გერმანელ აუდიტორიას წარუდგინა კვლევა, რომელიც განხორციელდა ტრანსდისციპლინური ფოტოპროექტის „სოფლის ექიმის 6 დღე" ფარგლებში. ნინომ, რომელიც პროექტის პირველი სეზონის ერთ-ერთი მონაწილეა, წარადგინა პრეზენტაცია სახელწოდებით "ფოტოკამერის ობიექტივში: სოფლად მაცხოვრებელთა ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა მედიცინის სტუდენტებთან ერთად".

გარდა სიმპოზიუმისა, თსა-ს წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ Virchow Prize 2024 წლის ყოველწლიურ ცერემონიაზე დასასწრებად, რომელსაც ასევე ესწრებოდა თსა-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, გლობალური სეფსისის ალიანსის აღმასრულებელი დირექტორი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, მარიამ ჯაში.

სიმპოზიუმის დასრულების შემდგომ, თსა-ს წარმომადგენლები, მარიამ ჯაში, მაკა მაღლაკელიძე და ნინო გაგუა მიწვეულნი იყვნენ ჯანმრთელობის მსოფლიო სამიტზე. სამიტი გერმანიის კანცლერის, ოლაფ შოლცის, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გენერალური დირექტორის ტედროს ადანომ გებრეიესუსის მხარდაჭერით გამართა.



განათლება და პარტნიორობები

AMR ცნობიერების ამაღლების მსოფლიო კვირეული (WAAW)

18 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით, მსოფლიო AMR ცნობიერების ამაღლების კვირეულს აღნიშნავს. კვირეულის 2024 წლის თემაა „განათლება. ადვოკატირება. მოქმედება".
თბილისის სამედიცინო აკადემია ეხმიანება ამ მსოფლიო მნიშვნელობის კვირეულს და 27 ნოემბერს, თსა-ში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "Medicine: Innovations and Challenges 2024" ფარგლებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით სესიები ჩატარდა.
AMR ცნობიერების ამაღლების მსოფლიო კვირეული (WAAW) არის გლობალური კამპანია AMR-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის, რათა შემცირდეს მედიკამენტებისადმი რეზისტენტული ინფექციების გავრცელება.

AMSE - 2024

ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) ყოველწლიურ კონფერენციას წელს თესალონიკმა (საბერძნეთი) უმასპინძლა. თსა-ს დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მედიცინის სკოლის დეკანი ლალი მეკოკიშვილი, დეკანის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით მარიკა თხელიძე, ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა მაღლაკელიძე, Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის კოორდინატორი მაგდა ტვილდიანი და რექტორის მიმდინარე საკითხების კოორდინატორი ანა მამისეიშვილი, წარადგინა ორი პოსტერ - პრეზენტაცია: "Application of photography and storytelling in developing medical students' attitudes towards practice in remote and rural areas" და "International Students Experiences: Enhancing Critical Analysis and Decision-Making Skills with Virtual Patient Simulation".

ეფექტიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები

ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტისა და სამეცნიერო კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის ორგანიზებით თსა-ში ჩატარდა ტრენინგი ეფექტიანი სამეცნიერო ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები.
ტრენინგის პროგრამა შეიქმნა სადოქტორო პროგრამების ხარისხის ევროპული სისტემის (ORPHEUS) მიერ ორგანიზებულ ტრენერთა ტრენინგზე. "სადოქტორო განათლების ხარისხი, სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის ტრენინგის პროგრამების შექმნა" - ეს სწორედ იმ ტრენინგის დასახელებაა, რომელიც (29.09.-3.11.2024) ჩატარდა დუბროვნიკში (ხორვატია) და რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ თსა-ს დელეგატები.

თსა EUA-ს თემატურ სამუშაო ჯგუფში

EUROPEAN UNIVERSITY ASSOCIATION

აპლიკაციის შესარჩევი საფეხურების გავლის შედეგად, თსა-ს განაცხადი წარმატებით იქნა მიღებული ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ და თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა ზარნაძე და სამედიცინო განათლებისა და კვლევის სპეციალისტი დეა გოდერძიშვილი წარმოადგენენ აკადემიას EUA თემატურ სამუშაო ჯგუფში ერთი წლის განმავლობაში (2025 მარტი - 2026 თებერვალი).
ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის თემატურ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა თსა-ს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს გამოცდილება ევროპის უნივერსიტეტებში პერსონალის განვითარების შესახებ, ასევე გააზიაროს საკუთარი გამოცდილება ამ მიმართულებით და შესაბამისად ჩაერთოს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის პოლიტიკის შემუშავებაში პერსონალის განვითარების გზით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც ბოლონიის პროცესით არის გათვალისწინებული.
აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, თსა წარმატებით მონაწილეობდა EUA AI Task-and-Finish Group-სამუშაო ჯგუფში, კვლევებში თსა-ს ვიცე-რექტორის კვლევის მიმართულებით ეკა კლდიაშვილის აქტიური მონაწილეობით.

თსა-ს წარმომადგენლები დუბროვნიკში

„სადოქტორო განათლების ხარისხი" - ამ სახელწოდების ტრენერთა ტრენინგს უმასპინძლა დუბროვნიკმა (ხორვატია). ღონისძიება ორგანიზებული იყო სადოქტორო პროგრამების ხარისხის ევროპული სისტემის (ORPHEUS) მიერ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ზარნაძემ და თსა-ს საგრანტო კომიტეტის წევრმა, მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლოლაძემ.
ტრენერთა ტრენინგის მიზანი იყო, სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად, სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის ტრენინგის პროგრამების შექმნა.

განათლება და პარტნიორობები

პროფესორი ჯულიო პეტრონიო თსა-ში

თსა-მ კლინიკური მიკრობიოლოგიის პროფესორს, ჯულიო პეტრონიოს უმასპინძლა. ვიზიტი მოლისეს უნივერსიტეტისა (UNIMOL-იტალია) და თსა-ს შორის Erasmus + თანამშრომლობის ფარგლებში შედგა. პროფესორმა პეტრონიომ შეხვედრები გამართა აკადემიის ადმინისტრაციასთან, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან, კვლევისა და საერთაშორისო მიმართულების ვიცე რექტორებთან, საერთაშორისო დეპარტამენტის, ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანი იყო შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერება და Erasmus+ პროექტის გაგრძელება.

ახალი თანამშრომლობა

თბილისის სამედიცინო აკადემიისა და Project IMG/IMG Unity Collective-ის თანამშრომლობით, თსა-ში დაარსდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მიიღონ სამედიცინო განათლება, შექმნან საკუთარი კარიერა და თავად შექმნან საზოგადოებრივი მხარდაჭერის სერვისები. ეს ინიციატივა ეხმარება მომავალ ექიმებს განივითარონ კლინიკური უნარები, ლიდერული თვისებები და დაამყარონ საერთაშორისო კავშირები.

ამ პარტნიორობის საშუალებით, თსა-ს სტუდენტებს ექნებათ წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე, საერთაშორისო კარიერულ შეთავაზებებზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემთ ჩამოყალიბდნენ გამოცდილ და ემპათიურ სამედიცინო პროფესიონალებად.

ვიზიტი სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში

თსა-ს მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თსა ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაკა ზარნაძე, პერსონალის განვითარების პროგრამის - Erasmus Staff Mobility ფარგლებში იმყოფებოდა სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის (ესპანეთი) მიკრობიოლოგიის დეპარტამენტში. ვიზიტის ფარგლებში (11-17 ნოემბერი) მან მონაწილეობა მიიღო ანტიბიოტიკორეზისტენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კვირეულში და წარადგინა პრეზენტაცია - Hints of Antibiotic Resistance – Bacteriophages.

ვიზიტი მაზარიკის უნივერსიტეტში

Erasmus+ მობილობის პროგრამის ფარგლებში, თსა-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლები, ნატალია კოჭლაშვილი და თეკლა რატიანი სამუშაო ვიზიტით მაზარიკის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ.

კვირეული დაეთმო ვორქშოპებსა და დისკუსიებს. შეხვედრის მონაწილეებმა მიმოიხილეს საერთაშორისო მობილობის სტრატეგიები, დაბრკოლებები და პერსპექტივები. ასევე, საუბარი შეეხო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებების განხილვას, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების ორგანიზებას.

კვირეულის ფორმალური ვიზიტების მიღმა, თსა-ს წარმომადგენლები შეხვდნენ აკადემიის სტუდენტებს, რომლებიც მობილობით იმყოფებიან მაზარიკის უნივერსიტეტში. შეხვედრა ასევე გაიმართა მაზარიკის უნივერსიტეტის სტუდენტთან, ვიქტორ კადერაბეკთან, რომელიც თსა-ს გაზაფხულის სემესტრიდან შემოუერთდება. აღსანიშნავია, რომ იგი გაცვლითი პროგრამის მონაწილე პირველი სტუდენტი იქნება ამ უნივერსიტეტიდან, ვინც ერთ სემესტრს აკადემიაში გაივლის.

ლალი მეკოკიშვილი EADV-ის დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს

თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანი, ლალი მეკოკიშვილი ევროპის დერმატო-ვენეროლოგიის აკადემიის (EADV) დირექტორთა საბჭოში საქართველოს წარმომადგენლად აირჩიეს. არჩევნები ჩატარდა ელექტრონულად, ფარული კენჭისყრით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აკადემიის წევრები საქართველოდან.

შედეგები ცნობილი გახდა EADV გენერალურ ასამბლეაზე კონგრესის მიმდინარეობის დროს.

EADV კონგრესს წელს ამსტერდამმა (ნიდერლანდები) უმასპინძლა, სადაც თსა-ს სახელით ლალი მეკოკიშვილმა ელექტრონული პოსტერით კლინიკური კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევა ეხებოდა ფსორიაზის მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობას.

განათლება და პარტნიორობები

ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით, თსა-ში ტრენინგების კვირეული ჩატარდა.
პირველი ტრენინგი რეფლექსიურ სესიას დაეთმო, რაც გულისხმობს პორტფოლიოს მენტორების ყოველსემესტრულ შეხვედრას.
გამოცდილების გაზიარება - შეხვედრას ფიზიოლოგიის სასწავლო კურსის განმახორციელებლები ესწრებოდნენ.
ტრენინგების კვირეულის ფარგლებში, ერთი შეხვედრა დაეთმო ანატომიური მაგიდის - (Anatomage) შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას.
შეფასება სამედიცინო განათლებაში, როგორ შევქმნათ MCQ ტესტი - ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს საერთაშორისო რეკომენდაციები და მათ საფუძველზე აკადემიაში შემუშავებული MCQ ტესტის შექმნის 10 წესი, რომლითაც სავალდებულოდ უნდა იხელმძღვანელონ თსა-ს ლექტორებმა.

არითმიის ზამთრის სკოლა 2025

არითმიის ზამთრის სკოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს მედიცინის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ექიმების ცოდნის ამაღლებას ელექტროკარდიოგრაფიის (ეკგ) და არითმიის მართვის სფეროებში. წელს, არითმიის ზამთრის სკოლას ბაკურიანმა უმასპინძლა.
სამი დღის განმავლობაში, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაეღრმავებინათ ცოდნა და გამოემუშავებინათ გადაუდებელ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. კურსმა ასევე ყურადღება გაამახვილა პირველადი დახმარებისა და არითმიის მართვის მნიშვნელობაზე, რაც აუცილებელია რეალურ კლინიკურ პრაქტიკაში. ღონისძიებამ თავი მოუყარა როგორც ქართველ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებს. არითმიის სკოლის თითოეული დღე იყო გამორჩეული და სპეციფიკური აქტივობებით დატვირთული.

ტვინის ცნობიერების კვირეული

სამეცნიერო კლუბის ორგანიზებით, ტვინის ცნობიერების კვირეულის ფარგლებში გაიმართა ინტერაქტიული აქტივობები, დისკუსია და მოხსენებები ტვინის და ემოციის თემაზე, ამიგდალას, პრეფრონტალური ქერქისა და ნეიროტრანსმიტერების როლის შესახებ ჩვენი გრძნობების ჩამოყალიბებაში. ვიქტორინაში გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.
მოხსენებები წარმოადგინეს სტუდენტებმა: ანა კოშაძემ, ქეთევან ვეფხვაძემ, მარიამ წიკლაურმა, ანი ყაჯრიშვილმა, ლიკა ტიტვინიძემ, ანა კოპალაძემ, ბელა ამარიანმა, მარიამ წამალაშვილმა, ნატალი ფაღავამ, ლიზი მოყვანიძემ, თაკო დანდურიშვილმა, გვანცა გოჩიტაშვილმა და თეონა დათუნაშვილმა.

ვალდორფის სკოლის მოსწავლეები თსა-ში

ყოველწლიურად ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა შესაძლებელი დროულად აღმოჩენილი პირველადი დახმარების საშუალებით. და მაინც, როგორ ვიმოქმედოთ სწრაფად და ეფექტიანად, რომ შევძლოთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა?
ამ კითხვებზე საპასუხოდ, ამჯერად, თსა-მ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის უფროსკლასელებს უმასპინძლა. ტრენინგი აკადემიის ორგანიზებით, ინსტიტუციური განვითარების Erasmus+ პროექტ - LIFESTRAND-ის ფარგლებში, თსა-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით ჩატარდა. ღონისძიების ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს. მოსწავლეები ასევე, გაეცნენ თსა-ს ლაბორატორიას, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრს და ბიბლიოთეკას.

განათლება და პარტნიორობები

სწავლა სახალისოა

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს თვითგანვითარების უნარის ჩამოყალიბებას და ზრდის სტუდენტის პასუხისმგებლობას საკუთარი ცოდნის ფორმირებაზე. თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამაში აქტიური სწავლების სხვადასხვა მეთოდია (TBL, Flipped Classroom, CBCR, Portfolio და სხვა) ინტეგრირებული, თუმცა თსა-ს მოტივირებული ლექტორები თავის მხრივაც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობის ორგანიზებას, რაც მოიცავს აქტიური სწავლების სხვადასხვა მაგალითს.
ბიოქიმიის დეპარტამენტის მოწვეული ლექტორის მარიამ ნიკოლაშვილის ინიციატივით, ჩატარდა ბიოქიმია 1-ის საახალწლო-სახალისო შეჯიბრება.
აქტივობაში მონაწილეობდა პირველი სემესტრის 25 სტუდენტი, რომლებიც მცირე (3-4 სტუდენტი) ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი. მათ ევალებოდათ დროის შეზღუდულ მონაკვეთში ამოეცნოთ ბიოქიმიასთან დაკავშირებული კლინიკური კორელაციები და ეპასუხათ ბლიც-კითხვებზე.

ENTREPRENEUR GEORGIA

საუკეთესო სამედიცინო უნივერსიტეტები საქართველოში
გამოცემა Entrepreneur Georgia-ში გამოქვეყნდა სტატია თბილისის სამედიცინო აკადემიის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში.

გაეცანით სტატიას



კვლევითი აქტივობები

სტრეპტოკოკი მუტანსი-ს (Streptococcus mutans) კოლონიზაციის შეფასება 1-ლი და მე-2 ტიპის შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით

კვლევითი პროექტი ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ დიაგნოსტირებული დიაბეტის მქონე პაციენტებს და ჯანმრთელ ადამიანებს განსხვავებული პირის მიკროფლორა აქვთ. კერძოდ, პროექტის მიზანია დავადგინოთ Streptococcus mutans-ის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრა ტიპი 1 და ტიპი 2 პაციენტების შემთხვევაში და შედარება ჯანმრთელ პოპულაციაში მიღებულ მონაცემებთან. მიკროფლორის განსხვავების განსაზღვრით შესაძლებელი იქნება შემდგომი დეტალური და ფართომასშტაბიანი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.
კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადამიანის ჯანმრთელობის თვალსაზრისით მიკრობიომის და მისი შემადგენლობის მნიშვნელობის განსაზღვრას.
მკვლევარი: ლელა ყორიაული, ანა გოგოლაძე - თსა-ს სტუდენტები

კვლევა თსა-ს სტუდენტების მონაწილეობით

თსა-ს სტუდენტების სოფო ნახუცრიშვილისა და მია მეტრეველის მონაწილეობით გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც ინტრაკრანიალურ სიმსივნეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი სიმსივნის mature teratoma-ის ორი შემთხვევაა აღწერილი.
პირველი პაციენტის შემთხვევაში განხორციელდა სიმსივნის ტოტალური, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბტოტალური რეზექცია (ორივე ოპერაცია შესრულებულია საქართველოში). აღსანიშნავია, რომ ორივე პაციენტი დეფიციტის გარეშეა.
პუბლიკაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბმულზე: - https://doi.org/10.1016/j.ijscr.2025.110927

სასწავლო კლინიკური შემთხვევა - შიო ობოლაძე

გაიცანით შიო ობოლაძე, ქრონიკული დაავადების მქონე ახალგაზრდა პაციენტი.
ეს არის პედიატრიული კლინიკური შემთხვევა, რომელიც მომზადებულია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის გუნდის მიერ, კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით.
კლინიკური შემთხვევა მიღებული და გამოქვეყნებულია CyberPatient სიმულაციური პლატფორმაზე.
CyberPatient წარმომადგენს ინტერაქციულ, რეალისტურ სიმულაციური სწავლებისთვის განკუთვნილ რესურსს, რომელიც ხელს უწყობს კლინიკური მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. თსა აქტიურად თანამშრომლობს CyberPatient-თან და ახალ კლინიკურ შემთხვევებს ამზადებს.
კლინიკური შემთხვევის მკვლევრები არიან:
მაგდა ტვილდიანი, დეა გოდერძიშვილი - თსა-ს აკადემიური პერსონალი;
სოფო ფუტურიძე და მარიამ ქევხიშვილი - თსა-ს სტუდენტები.



კვლევითი აქტივობები

ლალი მეკოკიშვილის სტატია ჟურნალში JAAD

თსა-ს მედიცინის სკოლის დეკანის, ლალი მეკოკიშვილის თანაავტორობით, გამომცემლობა Elsevier-ის ამერიკის დერმატოლოგიის აკადემიის ჟურნალში (JAAD), თსა-სთან აფილირებით, სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა.
სტატიაში განხილულია თანამედროვე ბიოლოგიური პრეპარატებით ფსორიაზის მკურნალობა და ასახავს საერთაშორისო მულტიცენტრული კლინიკური კვლევის შედეგებს, რომლის ერთ- ერთი ცენტრის მთავარი მკვლევარი გახლავთ ქ-ნი ლალი.
JAAD რეიტინგით პირველ ადგილზეა მსოფლიოში დერმატოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალებს შორის (იმპაქტ ფაქტორით 13,8).

AI-LabMed: ხელოვნური ინტელექტი ლაბორატორიული მედიცინის განვითარებისთვის

სამწლიანი პროექტი ინტერდისციპლინურია, ის მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებას ლაბორატორიული მედიცინის პრაქტიკაში. პროექტის მიზნები მოიცავს კვლევის მოქნილი მონაცემთა ბაზის შექმნას, AI მოდელების შემუშავებას შეცდომების გამოვლენისა და მონაცემთა ხარისხის შესაფასებლად, ლაბორატორიული ტესტირებისა და გადაწყვეტილების ტექნიკური მხარდაჭერის განვითარებას და ლაბორატორიული პროცესების გამარტივებას. პროექტი ინოვაციურია, ის მიზნად ისახავს ლაბორატორიულ მედიცინაში არსებული გამოწვევების გადაჭრას ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენების გზით.
პროექტი „AI-LabMed: ხელოვნური ინტელექტი ლაბორატორიული მედიცინის განვითარებისთვის“ დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2024 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში.
მკვლევარი: თომას შრადერი - პროფესორი, თსა.

თაფლის თვისებები პირის ღრუს პათოგენების მიერ წარმოქმნილი ბიოფილმების წინააღმდეგ

პროექტის მიზანია თაფლის გავლენის შესწავლა სამიზნე ბაქტერიების შტამების ბიოფილმების წარმოქმნის უნარზე. ცნობილია, თაფლს აქვს უნარი დააინჰიბიროს დამწვრობებიდან და ჩირქოვანი ჭროლობებიდან გამოყოფილი პათოგენების ზრდა. ვინაიდან უშუალოდ თაფლი მოუხერხებელია ჩირქოვან ჭრილობებსა და კანზე გამოყენებისთვის, შესაძლებელია თაფლის სავლები მიჩნეული იყოს პირის ღრუს ინფექციების სამკურნალოდ მოსახერხებელ დამხმარე საშუალებად.
აღნიშნული სავლების გამოყენება უზრუნველყოფს პირის ღრუში ბიოფილმების წარმოქმნის პრევენციას. პროექტი მიზნად ისახავს პირის ღრუს პათოგენებზე და მათ მიერ წარმოქმნილ ბიოფილმების წარმოქმნის უნარზე თაფლის გავლენის შესწავლას.
მკვლევარი: ნინო ჩხუტიშვილი, ლევან ბახტაძე, მარიამ ბერძენიშვილი, თამარ ქობულაშვილი, ლია თევდორაძე - თსა-ს სტუდენტები.

„MB4GAP: კუჭის ადენოკარცინომის პერსონალიზაციის მოლეკულური ბიომარკერები

პროექტი მიზნად ისახავს კუჭის კიბოს (GC) ქვეტიპების შემდგომი მოლეკულური კატეგორიზაციას. აღნიშნული დაავადება მეხუთე ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებაა და რიგით მესამე მიზეზი კიბოსთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევაში. კვლევის მიზანია დაადგინოს Helicobacter pylori (H. pylori) და ეპშტეინ-ბარის ვირუსის (EBV) ინფექციების სტატუსი, TP53 მეთილაციის, როგორც მიკროსატელიტური არასტაბილურობის მაჩვენებელი (MSI), და HER2 და CLDN18.2 ექსპრესია, როგორც ქრომოსომული არასტაბილურობის (CIN) და გენომური სტაბილურობის (GS) ინდიკატორები შესაბამისად. კვლევისთვის ნიმუშები შეგროვდება როგორც ჯანმრთელი ადამიანებისგან, ასევე კუჭის კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტებისგან; კვლევა მიზნად ისახავს 200 ნიმუშის შეგროვებას. პროექტი „MB4GAP: კუჭის ადენოკარცინომის პერსონალიზაციის მოლეკულური ბიომარკერები“ დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების 2024 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში.
მკვლევარი: იან ალექსანდერ კრიი - ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის საპატიო პროფესორი პათოლოგიის მიმართულებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) სიმსივნის კლასიფიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი 2017-2022 წლებში, თსა-ს პროფესორი;

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

ვარდისფერი ოქტომბერი თსა-ში

ვარდისფერი ოქტომბრის ფარგლებში, სტუდენტებთან ერთად ცოცხალ ჯაჭვს შევუერთდით. ასევე მოეწყო ვარდისფერი დღე თსა-ში, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიის წარმომადგენლები და სტუდენტები, რაც გულისხმობდა ვარდისფერი სამოსის ტარებას.

თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა

პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი

პირველადი გადაუდებელი დახმარება - ეს სიცოცხლისთვის იმდენად მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს. სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, თსა-ს სტუდენტების ჩართულობით აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი - პირველადი დახმარება და გულ-ფილტვის რეანიმაცია.

ტრენინგი ჩატარდა Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტ LIFESTRAND-ის ფარგლებში, რომელიც თსა-ს კოორდინირებით ხორციელდება. პროექტის მიზანია პოტენციურად მაღალი მილიტარისტული რისკის ზონებში (საქართველო, უკრაინა) მაცხოვრებელი მოწყვლადი მოსახლეობისთვის, რომელიც დაზარალდა რუსეთის ოკუპაციისა და სამხედრო აგრესიის შედეგად, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უნარ-ჩვევების სწავლება.

პროექტი - „LIFESTRAND“, შეიქმნა, დაიგეგმა და ხორციელდება უშუალოდ თსა-ს კოორდინირებით. პროექტი აერთიანებს საქართველოს, უკრაინის, ესპანეთისა და პორტუგალიის 9 უნივერსიტეტს.

გაჯანსაღდი! უარი თქვი თამბაქოზე!

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (NCDC) თსა-ს ესტუმრა და სტუდენტებს წარუდგინა პროექტი, რომლის მიზანია საზოგადოებაში თამბაქოს მავნებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. პრეზენტაცია, სახელწოდებით "გაჯანსაღდი" ჯანმრთელობის ხელშეწყობის და განათლების ფონდის თავმჯდომარემ, გიორგი მაღრაძემ წარადგინა.

თსა-ს მესამე მისიაა ემსახუროს საზოგადოებას და მათი საჭიროებების გათვალისწინებით განახორციელოს კამპანიები. ამასთან, აღნიშნული კამპანია შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მე-3 და მე-13 მიზანთან, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და გარემოსდაცვითი ღონისძიებების ადვოკატირებას.

NCDC

3 GOOD HEALTH AND WELL-BEING

13 CLIMATE ACTION

ვორქშოპი რუსთავის მედიათეკაში

პირველადი გადაუდებელი დახმარების ვორქშოპს რუსთავის მედიათეკამ უმასპინძლა.

როგორ უნდა მოხდეს დაზარალებულის ადგილზე შეფასება, როგორ უნდა გაკეთდეს გულ-ფილტვის რეანიმაცია და ტრავმის მენეჯმენტი პრე-ჰოსპიტალურ დონეზე - ეს ის საკითხები იყო, რომელზეც ყურადღება გაამახვილეს თსა-ს წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა.

ვორქშოპი Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის - „LIFESTRAND“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტების პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის პირველადი დახმარების უნარების სწავლებას და ამ მიმართულებით გამოცდილების გაზიარებას.

ვარდისფერი ვორქშოპი თსა-ში

აკადემიამ ეროვნული სკრინინგ ცენტრის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, თამარ სხირტლაძეს უმასპინძლა. პრეზენტაციის მიზანი იყო ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. მომხსენებელმა ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რასაც ამ მიმართულებით აწყდება დღეს ცენტრი, ასევე შეეხო ქვეყანაში არსებულ სტატისტიკურ მდგომარეობას. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ პაციენტების პოზიტიურ შედეგებს, რომლებიც დიაგნოზირებული არიან დაავადების ადრეულ ეტაპზე და აუდიტორიას გაუზიარა მოსაზრებები თუ როგორ უნდა ჩაერთოს მეტი ქალი სკრინინგის პროგრამაში.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ "ევროპა დონა საქართველოს" წარმომადგენელი ქალები, რომლებმაც დაამარცხეს ეს დაავადება ან ახლა გადიან ამ გზას. მათ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სტუდენტებს და მათთან ერთად ისაუბრეს იმ ემოციებზე, რომლებსაც ქალების უმეტესობა განიცდის დიაგნოზის დასმის მომენტში და ასევე, მკურნალობის პერიოდში.

სტუდენტური ცხოვრება და კურსდამთავრებულები

სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტები

სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტების კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ. სპეციალურად შერჩეულმა კომისიამ ხუთი გამარჯვებული პროექტი გამოავლინა.

კონკურსის გამარჯვებული სტუდენტები და მათი პროექტებია:

1)“პლანეტარული ჯანმრთელობა და ნარჩენების მართვა” - ავთანდილ სამადალაშვილი, მედეა კუსიანი;

2)“საფრთხის ჩურჩული: დეციბელის ეფექტის შესწავლა გულისცემაზე” - რიშუ გირიშ შაჰ, თამარ დანდურიშვილი;

3)“Special Needs Support” - თათა ტატალაშვილი, ელენე საჯაია, სესილი ლაზარია, ანა ჩიქოვანი;

4)“სტუდენტები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის” - მარიამ ჯორბენაძე, ნანა ყაჭიური, მარიამ ქევხიშვილი, საბა ჩიქობავა, ელენე ლილუაშვილი, ელენე გუბელაძე;

5)“VitalCare” - ნინო ჩხუტიშვილი, ლევან ბახტაძე, მარიამ ბერძენიშვილი, ლია თევდორაძე, თამარ ქობულაშვილი.

თსა-მ წელს პირველად, გამოაცხადა სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტების კონკურსი. ეს არის საგრანტო ინიციატივა, რომლის მიზანია ინტერ და ტრანს დისციპლინური მიმართულების გაძლიერება კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად ჯანდაცვის სფეროში, რაც ეხმიანება აკადემიის მისიას - ემსახუროს და სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა პროექტი ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (3, 4, 6, 11, 13, 15, 17) და სრულ თანხვედრაშია თსა-ს მესამე მისიასთან, რომლის მიზანია ემსახუროს საზოგადოებას.

პროექტები
https://tma.edu.ge/home/assets/docs/projectsge.pdf

ბიოეთიკის საერთაშორისო დღე - სტუდენტური დებატები

ბიოეთიკის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისის სამედიცინო აკადემიაში სტუდენტური დებატები ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში განიხილა რეზოლუცია: „ეს კრება ორგანოთა გადანერგვის რეციპიენტების პრიორიტეტს განსაზღვრავდა მათი სოციალური ღირებულებიდან გამომდინარე (მაგალითად, პროფესია, როლი საზოგადოებაში და ა.შ.)“.

წარმოდგენილი რეზოლუციის შესახებ მსჯელობას აფასებდა დებატების მსაჯთა კოლეგია: თეკლა ბახტურიძე, ალექსანდრე კაცაძე, გიორგი დუმბაძე, გიორგი ბარაქაძე, ხატია დევაძე.

დებატების მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, საუკეთესო არგუმენტები წარადგინა და სტუდენტურ დებატებში გამარჯვებულად გამოცხადდა ბარბარე მარანელის და ალეკო ჩხეტიას გუნდი.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით, თსა-ს სტუდენტები ეწვივნენ წყნეთის დღის ცენტრს “განვითარების სივრცეს”. სტუდენტებმა სივრცის ბენეფიციარებთან ერთად სახალისო აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა, ერთად მოხატეს წინდები და სამახსოვრო განმავითარებელი საჩუქრებიც გადასცეს მოზარდებს.

განვითარების ცენტრში ვიზიტის ინიციატორები თსა-ს სტუდენტები არიან, რომლებიც ახორციელებენ პროექტს “Special Needs Support”, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებიც შეძლებენ საკუთარი ნიჭის გამოვლენას.

“Special Needs Support” - ერთ-ერთია იმ პროექტებს შორის, რომელმაც სოციალური და კულტურული სტუდენტური პროექტების კონკურსში გაიმარჯვა. პროექტის ავტორები არიან თათა ტატალაშვილი, ელენე საჯაია, სესილი ლაზარია და ანა ჩიქოვანი.

ალცჰაიმერის დერეფანი

“ალცჰაიმერის დერეფანი” - ამ სათაურის გარშემო გაერთიანდნენ თსა-ს სტუდენტები და წარმოადგინეს ნამუშევრები, ნახატებისა და პოსტერების საშუალებით, რომელიც ალცჰაიმერის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ეძღვნებოდა. ღონისძიების მიზანი იყო ამ დაავადების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მისი ადრეული გამოვლენა და სტიგმის შემცირება.

შეხვედრას თსა-ს ალცჰაიმერის კლუბმა უმასპინძლა. კლუბის ხელმძღვანელმა ხატია დევაძემ ისაუბრა თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული დაავადება ადამიანის მეხსიერებაზე, აზროვნებასა და ქცევაზე.

ღონისძიების ფარგლებში ასევე ჩატარდა ვორქშოპი, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას საშუალება მისცა ალცჰაიმერის დაავადების მქონე პაციენტის პერსპექტივიდან დაენახათ სამყარო.

სტუდენტური ცხოვრება და კურსდამთავრებულები

პროექტი „ჯანმრთელობის ჰარმონია“

თსა-ს სტუდენტურ კლუბს „საზოგადოების დამხმარეებს“ ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლამ უმასპინძლა. სტუდენტებმა სკოლის მოსწავლეებს წარუდგინეს პროექტი „ჯანმრთელობის ჰარმონია“, რომლის მიზანიც იყო ჯანსაღი კვების მნიშვნელობა და მისი პოპულარიზაცია.

პროექტი სამ ნაწილად წარიმართა: სწორი კვება, ფიტნეს ცხოვრება და ჯანსაღი ცხოვრების სტილი. სკოლის მოსწავლეებისთვის სადეგუსტაციოდ დამზადებული იყო ჯანსაღი სენდვიჩებიც.

„საზოგადოების დამხმარეების“ მიერ შეთავაზებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღეს მე-11 და მე-8 კლასების მოსწავლეებმა.

თსა-ს წარმატებული კურსდამთავრებული - მუათაზ ალი

ჩვენი კურსდამთავრებული მუათაზ ალი, ჰარვარდის მედიცინის სკოლაში, Brigham and Women’s Hospital-ში პოსტდოკ კვლევით საქმიანობაში ჩაერთვება!

მისი კვლევა კონცენტრირებულია თრომბოციტების გლიკობიოლოგიის შესწავლაზე და იკვლევს, თუ როგორ გავლენას ახდენს გლიკოლიზი თრომბოციტების ფუნქციონირებასა და უტილიზაციაზე.

თსა-ს წარმატებული კურსდამთავრებული - ელენე კეკელია

ძუძუს მეტასტაზური კიბო საქართველოში - ახალგაზრდა ექიმების პირველი კონფერენცია, რომელსაც ჩვენი კურსდამთავრებული ელენე კეკელია გაუძღვა.

თსა-ს სტუდენტების წარმატება

თსა-ს სტუდენტებმა თამარ ქობულაშვილმა და მარიამ ბერძენიშვილმა, ამსტერდამში (ნიდერლანდები), გამოყენებითი მიკრობიოლოგიისა და სასარგებლო მიკრობების ევროპის მე-6 კონგრესზე კვლევა წარადგინეს. კვლევა სახელწოდებით “ქართული თაფლის ანტიბაქტერიული მოქმედება კანის ჭრილობებისგან იზოლირებული ბაქტერიების წინააღმდეგ" სტუდენტებმა კოლეგებთან, ნინო ჩხუტიშვილთან და ლევან ბახტაძესთან ერთად განახორციელეს, რომელსაც მენტორობას აკადემიის ასოცირებული პროფესორი, მანანა ლოლაძე უწევდა.

ღია კარის დღეები 2025

თსა კვლავ მასპინძლობს მედიცინით დაინტერესებულ აბიტურიენტებს! წლევანდელი სლოგანია გაეცანი ინოვაციებს, შეეხე მომავალს!

აბიტურიენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეეძინათ პირველადი გადაუდებელი დახმარების საბაზისო უნარები, გასცნობოდნენ სტანდარტიზებულ პაციენტს და სამედიცინო სიმულაციურ პლატფორმა CyberPatient-ს, ასევე, გამოეცადათ ვირტუალური ანატომიური მაგიდის შესაძლებლობები.

აბიტურიენტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია აკადემიის სასწავლო და გაცვლითი პროგრამების, სტუდენტური ცხოვრებისა და საუნივერსიტეტო სტიპენდიის შესახებ. მეგზურობას და მენტორობას კი თსა-ს სტუდენტები უწევდნენ.

მარტის თვეში უკვე სამი ღია კარის დღე ჩატარდა მათ შორის, გასვლითი ღია კარის დღე ქალაქ რუსთავში.

ღია კარის დღის სესიები კვლავ გრძელდება.

სტუდენტური ცხოვრება და კურსდამთავრებულები

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება

თსა-ს 2025 წლის საერთაშორისო კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მათ მიენიჭათ დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია. ვულოცავთ ჩვენს კურსდამთავრებულებს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ბლოგები

წაიკითხე ბლოგი

მე ვარდისფერში / The Bright Pink on Me

ტონი ვარგეზესე / Tony Varghese თსა-ს სტუდენტი / TMA Student მე ვარდისფერში როგორც წესი, ოქტომბერი შემოდგომის ნარინჯისფერი ტონებით მოდის, თუმ...

blogspot.com

წაიკითხე ბლოგი

სტაჟირების ნაყოფიერი დღეები რიზეში / FRUITFUL DAYS OF INTERNSHIP IN RIZE

აპარნა პრასად / Aparna Prasad თსა-ს სტუდენტი / TMA Student სტაჟირების ნაყოფიერი დღეები რიზეში მე ვარ აპარნა პრასადი, თბილისის სამედიცინო აკა...

blogspot.com

წაიკითხე ბლოგი

სამედიცინო თავგადასავალი და პროფესიული აღმოჩენები / Medical Adventure and Professional Discoveries

Mia Metreveli - TMA student ლოძი: სამედიცინო თავგადასავალი და პროფესიული აღმოჩენები გამარჯობა, მე მია მეტრეველი ...

blogspot.com

ბლოგები

სამედიცინო თავგადასავალი თურქეთში / Medical Adventure in Turkey

დიანა მამულაძე / Diana Mamuladze თსა-ს სტუდენტი / TMA Student
სამედიცინო თავგადასავალი თურქეთში გამარჯობა, მე დიანა მამულაძე ვარ, თბილისი...

blogspot.com

ცხოვრება მარფანის სინდრომთან ერთად / Living with Marfan syndrome

გურამ გურჯიძე / Guram Gurjidze თსა-ს სტუდენტი / TMA Student თსა-ს სტუდენტის, გურამ გურჯიძის ინტერვიუ მარფანის სინდრომით დიაგნოსტირებულ ქალთ...

blogspot.com

თავგადასავლებით სავსე საზაფხულო სტაჟირება / An Adventurous Summer Internship

მარიამ ბექაური / Mariam Bekauri თსა-ს სტუდენტი / TMA Student
თავგადასავლებით სავსე საზაფხულო სტაჟირება მე მარიამ ბექაური ვარ, თბილისის სამ...

blogspot.com

ბერლინური დღეები / Berlin Days

Nino Gagua - TMA Student ბერლინური დღეები: შთაბეჭდილებები ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო სიმპოზიუმიდან მას შემდეგ, რაც გავიგე რომ ახალგა...

blogspot.com

სწორი არჩევანი / The Right Choice

პაპუნა სირბილაძე / Papuna Sirbiladze თსა-ს სტუდენტი / TMA Student სწორი არჩევანი მე ვარ პაპუნა სირბილაძე, თბილისის სამედიცინო აკადემიის მეოთ...

blogspot.com

SINCE 1992
TBILISI MEDICA
MEDICINE